



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ქ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ გ-04/260.14

11.06 2014 წ.

ქ.თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს

როგორც მოგეხსენებათ, ქ.თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოში წარმოდგენილი იყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საიას) 2014 წლის 14 მაისის #გ-04/202-14 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე (იხ.დანართი #1).


განცხადებასთან დაკავშირებით ქ.თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს მიერ წარმოდგენილ იქნა 2014 წლის 30 მაისის #06/3669-8 კორესპონდენცია (იხ.დანართი #2).

ქ.თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, საია-ს 2014 წლის #გ-04/202-14 განცხადების მე-2 და მე-3 მუხლებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე გვეთქვა უარი, შემდეგი საფუძველით - აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, აუქციონის შედეგების საფუძველზე კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებები და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეიცავს კომპანიის კომერციულ საიდუმლოებებსა და პირად მონაცემებს, შესაბამისად სააგენტო ვალდებულია უზრუნველყოს შპს „დელტა

კომპ“-ის 29.04.2014 წლის #07/2608-8 წერილის საფუძველზე, კომპანიის პირადი საიდუმლოებებისა და პირადი მონაცემების არ გამჟღავნება.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის, კერძოდ კი 27² მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ ქ.თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტის ასლი ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე.

პატივისცემით,



თამარ გვარამაშვი

ადმასრულებელი დირექტორი

შემსრულებელი: სოფიო ჭარელი